| სოციალური უზრუნველყოფა | 10.342,00 | 10.341,57 | 0,43 | - | - | - |
| სარეკლამო ბანერის და ნაბეჭდი ფირების ბეჭდვა | 1.754,00 | 1.753,96 | 0,04 | 1.875,00 | 1.807,40 | 67,60 |
| სატელევიზიო გადაცემებისათვის საჭირო მასალები,დეკორაციები და კვების სხვადასხვა საქონელი | 2.208,00 | 2.206,51 | 1,49 | 4.898,00 | 3.761,33 | 1.136,67 |
| სოციალურ ქსელში გასატარებელი სარეკლამო კამპანიის ხარჯი | - | - | - | 4.953,00 | 4.861,74 | 91,26 |
| მიკროფონის ღრუბლების შეძენა-განბაჟება | 6.037,00 | 6.035,17 | 1,83 | - | - | - |
| საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები | - | - | - | 480,00 | 480,00 | - |
| ნამზადების შეძენა | - | - | - | - | - | - |
| საბიბლიოთეკო წიგნების შეძენა | 240,00 | 239,50 | 0,50 | - | - | - |
| გადაცემა "რადიოვიზია"-ს სტუდიისა და გადაცემა "აკვარიუმი"-ს დეკორაციული სამუშაოები | - | - | - | 3.500,00 | 3.500,00 | - |
| ნამზადების შეძენა | - | - | - | 3.000,00 | 2.857,60 | 142,40 |
| გარეწარმოება | 60.949,50 | 60.948,80 | 0,70 | - | - | - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრენდირებული საქონელი | 23.034,00 | 23.031,73 | 2,27 | 3.042,00 | 2.921,95 | 120,05 |
| კოსმეტიკური საშუალებები | 4.950,00 | 4.949,65 | 0,35 | 1.307,00 | 1.306,40 | 0,60 |
| შენობის ქიმწმენდისა და რეცხვის ხარჯი | 645,00 | 645,00 | - | - | - | - |
| სტუდიისთვის იატაკის საფენი (ხალიჩა), დეკორატიული ბალიშები | - | - | - | 1.035,00 | 1.034,70 | 0,30 |
| საშობაო ნაძვის ხის შეძენა | 520,00 | 520,00 | - | 590,00 | 590,00 | - |
| სტუდიის განახლების სამუშაობი | 19.944,00 | 19.944,00 | - | - | - | - |
| **რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა** | 368.000,00 | 367.999,56 | 0,44 | 7.200,00 | 7.200,00 | - |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 338.527,00 | 338.526,96 | 0,04 | 7.200,00 | 7.200,00 | - |
| მივლინება ქვეყნის შიგნით | 2.000,00 | 2.000,00 | - | - | - | - |
| მივლინება ქვეყნის გარეთ | - | - | - | - | - | - |
| სოციალური უზრუნველყოფა | 7.245,00 | 7.244,83 | 0,17 | - | - | - |
| გარეწარმოება | 9.956,00 | 9.955,89 | 0,11 | - | - | - |
| საავტორო უფლებების შესყიდვა - მუსიკალური ფონი | 10.272,00 | 10.271,88 | 0,12 | - | - | - |
| **ტექნიკური უზრუნველყოფა** | 1.214.710,00 | 1.214.700,07 | 9,93 | 80.700,00 | - | 80.700,00 |
| პრინტერების შეძენა კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში | 2.964,00 | 2.963,58 | 0,42 | - | - | - |
| კატრიჯების შეძენა კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში | 3.383,00 | 3.382,38 | 0,62 | - | - | - |
| სატელევიზიო ტექნიკის რემონტი | 3.158,00 | 3.158,00 | - | - | - | - |
| სპეც.ტანსაცმელი და უსაფრთხოების აქსესუარები | 995,00 | 995,00 | - | - | - | - |
| თანამგზავრული მაუწყებლობის ხარჯი (აზერსატი) | 240.000,00 | 240.000,00 | - | - | - | - |
| არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10% | 25.500,00 | 25.500,00 | - | - | - | - |
| არარეზიდენტების მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ | 7.669,00 | 7.669,00 | - | - | - | - |
| ციფრული სიგნალის გავრცელების საფასური | 219.120,00 | 219.120,00 | - | - | - | - |
| სილქტივის HD ხარისხის პროგრამული პაკეტი | 3.000,00 | 3.000,00 | - | - | - | - |
| მიმღებ/გადამცემი აპარატურის შენობის სახურავის იჯარა | 4.800,00 | 4.800,00 | - | - | - | - |
| საწვავი (ავტომანქანებზე) | 22.331,00 | 22.330,24 | 0,76 | - | - | - |
| ციფრული ვიდეო კომუტატორი | 9.405,00 | 9.404,60 | 0,40 | - | - | - |
| სუფლიორის კომპლექტი (2) | 11.081,00 | 11.080,20 | 0,80 | - | - | - |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რადიო ვიზუალიზაციისთვის აპარატურა | 97.692,00 | 97.691,02 | 0,98 | - | - | - |
| ვიდეოკამერის კომპლექტი (3) | 100.448,00 | 100.447,50 | 0,50 | - | - | - |
| ენკოდერი (1) | 4.500,00 | 4.499,34 | 0,66 | - | - | - |
| უკაბელო ინტერმეტ გამავრცელებელი - WI-FI (4) | 1.000,00 | 1.000,00 | - | - | - | - |
| რესივერები კომპლექტაციით | 1.480,00 | 1.479,72 | 0,28 | - | - | - |
| სატელევიზიო სიგნალის ტრანზიტი | 2.997,00 | 2.997,00 | - | - | - | - |
| 2 არხიანი სატელეფონო ჰიბრიდი | 4.532,00 | 4.531,20 | 0,80 | - | - | - |
| მეხსიერების ბარათები | 13.773,00 | 13.772,96 | 0,04 | - | - | - |
| მყარი დისკების მასივი (1) | 49.649,00 | 49.648,50 | 0,50 | - | - | - |
| ქსელის კომიტატორი | 3.870,00 | 3.870,00 | - | - | - | - |
| ვიდეოსამონტაჟო სამუშაო სადგური (10), ნოუთბუქი (4) | 58.705,00 | 58.705,00 | - | - | - | - |
| საოფისე ნოუთბუქი (5) | 6.860,00 | 6.860,00 | - | - | - | - |
| საოფისე კომპიუტერი (17) | 20.213,00 | 20.213,00 | - | - | - | - |
| HD კაბელი და აუდიო კონექტორები | 5.781,00 | 5.780,82 | 0,18 | - | - | - |
| მცირეფასიანი მიკროფონები და ყურსასმენები | 6.597,00 | 6.596,20 | 0,80 | - | - | - |
| განათების აპარატურის დაქირავება | 4.900,00 | 4.900,00 | - | - | - | - |
| შესყიდვებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები | 1.000,00 | 1.000,00 | - | - | - | - |
| მიკროფონები და აქსესუარები | 17.893,00 | 17.892,34 | 0,66 | - | - | - |
| ტექნიკური საჭიროებების კვლევა და რეკომენდაციების შემუშავება | 4.500,00 | 4.500,00 | - | - | - | - |
| ვებ.გვერდის რედიზაინის შესყიდვის ტექ.დოკუმენტაციის მომზადება | 3.000,00 | 3.000,00 | - | - | - | - |
| მაღალი გამავლობის ავტომანქანების შეძენა (2) | 85.050,00 | 85.050,00 | - | - | - | - |
| რადიოგადამცემები (2), მოდულატორი (2) | 32.822,00 | 32.820,52 | 1,48 | - | - | - |
| უწყვეტი დენის წყარო | 4.672,00 | 4.672,00 | - | - | - | - |
| განათების აპარატურის კომპლექტი | 69.030,00 | 69.030,00 | - | 80.700,00 | - | 80.700,00 |
| კედლის კონდიციონერი (4) | 4.880,00 | 4.880,00 | - | - | - | - |
| რადიოს გაგრილების და კონდიცირების სისტემა | 40.592,00 | 40.591,95 | 0,05 | - | - | - |
| ვიდეო აღწარმოების სერვერი HD 1080i | 14.868,00 | 14.868,00 | - | - | - | - |
| **სხვა გადასახდელები** | 50.500,00 | 50.500,00 | - | 27.120,00 | 27.120,00 | - |
| არარეზიდენტების მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ | 49.488,90 | 49.488,90 | - | - | - | - |
| საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები | - | - | - | 27.120,00 | 27.120,00 | - |
| დასუფთავების მოსაკრებელი | 1.011,10 | 1.011,10 | - | - | - | - |

## 4. ინფორმაცია მაუწყებლის შემოსავლების შესახებ

2018 წლის განმავლობაში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს შემოსავლებმა დღგ-ს ჩათვლით (დარიცხული) შეადგინა სულ 232 508,08 ლარი, მათ შორის:

1) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლები შეადგენს 106 990,80 ლარს, კერძოდ:
   - → შემოსავლები სატელევიზიო ეთერში პროდუქტის განთავსების (Product Placement) მომსახურებიდან 4 800,00 ლარი;
   - → შემოსავლები კომერციული რეკლამიდან 15 667,44 ლარი;
   - → შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან 79 753,61 ლარი;
   - → შემოსავლები სხვა (არქივიდან მასალის გაცემა) მომსახურებიდან 165,75 ლარი;
   - → სხვა შემოსავლები (ავტომანქანის რეალიზაცია, ჯართის რეალიზაცია) 6 604,00 ლარი.

2) მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში მიღებული შემოსავლები შეადგენს 125 517,28 ლარს, კერძოდ:
   - → შემოსავლები IFES-ის ("აი ფი ეს/საქართველო") დაფინანსებით 2 000,00 ლარი;
   - → შემოსავლები "ა(ა)იპ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი"-ს დაფინანსებით 960,00 ლარი;
   - → შემოსავლები "ა(ა)იპ მიგრაციის ცენტრი"-ს დაფინანსებით 1 737,00 ლარი;
   - → შემოსავლები "ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების ცენტრი"-ს დაფინანსებით 3 444,00 ლარი;
   - → შემოსავლები "ა(ა)იპ საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო" -ს დაფინანსებით 17 561,41 ლარი;
   - → შემოსავლები "ა(ა)იპ თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი"-ს დაფინანსებით 26 066,37 ლარი;
   - → შემოსავლები ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"-ს დაფინანსებით 48 748,50 ლარი.
   - → შემოსავლები ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში დაფინანსებით 25 000,00 ლარი.

არასაბიუჯეტო შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლები იხილეთ ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში:

❖ არასაბიუჯეტო შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლები




2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის საბანკო (სახაზინო) ანგარიშზე რიცხულმა ფინანსური სახსრების ნაშთმა შეადგინა 23 512,93 ლარი. დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| ნაშთი 01.01.2018 | სადებეტო ბრუნვა | საკრედიტო ბრუნვა | ნაშთი 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| 11 630,58 | 214 655,82 | 202 773,47 | 23 512,93 |

## 5. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

მაუწყებელში სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვა, წინამოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N2 „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ და შესყიდვების მარეგულირებელი სხვა ნორმები) შესაბამისად.

მაუწყებლის მიერ გამოყენებული შესყიდვის ფორმებია:

- კონსოლიდირებული ტენდერი
- ელექტრონული ტენდერი
- გამარტივებული შესყიდვები

2018 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ:

1) გამოცხადებული იყო 54 ტენდერი, მათ შორის 2 დასრულდა უარყოფითი შედეგით, 5 არ შედგა, ხოლო 47 შედგა და გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები.

2) განხორციელდა 299 გამარტივებული შესყიდვა და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, მათ შორის:

   - 82 საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;
   - 199 სახელმწიფო ბიუჯეტით.

3) კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 18 ხელშეკრულება.

❖ სახელმწიფო შესყიდვების მაჩვენებლები



## 6. ინფორმაცია მაუწყებლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ

1) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიომ (სახაზინო პროგრამული კოდი 420102) „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ (კანონი #1721-Iს_13/12/2017) საქართველოს კანონით, პროგრამით „მაუწყებლის ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 42 00), გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განახორციელა საბიუჯეტო სახსრების განკარგვა.

2) „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს:

- საბიუჯეტო სასრების ხარჯები განისაზღვრა 7 879 000,00 ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 7 878 741,99 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,99%-ია.

  მათ შორის:

  - შრომის ანაზღაურების მუხლით განსაზღვრული ასიგნება შეადგენდა 1 498 040,00 ლარს. საკასო შესრულებამ შეადგინა 1 498 033,42 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,99%-ია.
- არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 1 268 00,00 ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 1 267 966,51 ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,99%-ია.

3) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ საბიუჯეტო სახსრების ნაწილში სახელწიფო ასიგნების ფარგლებში ათვისებულმა ბიუჯეტმა შეადგინა სულ 7 878,7 ათასი ლარი. დამატებით მაუწყებელმა ეკონომიკური საქმიანობიდან მიიღო (დარიცხული) შემოსავალი (დღგ-ს ჩათვლით) სულ 232,5 ათასი ლარი.

## დასახული შუალედური/საბოლოო შედეგები

პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს ახალი ამბებისა და მაღალმხატვრული ღირებულების სატელევიზიო და რადიო პროგრამების მიწოდებით ხელის შეწყობა საზოგადოების ინფორმირებულობისათვის, ტელე-რადიო არხის რეიტინგის გაზრდა, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და შემოქმედებითი ცნობიერების ამაღლება.

## მიღწეული შუალედური/საბოლოო შედეგები

ა) მაუწყებლის მიერ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, მედიაწარმოებისა და პროდიუსინგის მიმართულებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები, კერძოდ:

- შეძენილ იქნა ციფრული ვიდეო კომუტატორი, რომელიც დამონტაჟდა სტუდია N1-ში;
- შეძენილ იქნა 2 ცალი სუფლიორის კომპლექტი, რომელიც დამონტაჟდა სტუდია N1-ში;
- რადიოს ვიზუალიზაციისთვის შეძენილ იქნა აპარატურა (ვიდეოკამერები), რომელიც დამონტაჟდა რადიო შენობაში (მ.აბაშიძის №57);
- შემოქმედებითი სამსახურისათვის შეძენილ იქნა 3 ერთეული ვიდეოკამერის კომლექტი;
- შეძენილ იქნა სტუდიური განათების კომპლექტი, აუდიო აპარატურა, სტაციონალური მიკროფონები და მიმღებები, სამკერდე მიკროფონები, ხელის რადიო მიკროფონები, უკაბელო საკამერო მიკროფონის კომპლექტი, რეპროდუქტორი, აუდიო სიგნალის მიმღები, ყურსასმენები, HDMI და USB კაბელები, სტუდიისთვის და გარე გადაღებების განათების კომპლექტები, აუდიო და ვიდეო სიგნალის გარდამქნელები, WIFI უკაბელო ინტერნეტ გამავრცელებელი მოწყობილობები, პირდაპირი ჩართვების ეფექტური და ოპერატიული უზრუნველყოფისათვის 2 არხიანი GSM სატელეფონო აპარატურა და სხვადასხვა აქსესუარები;
- მაუწყებლის ტექნიკური ნაწილის გასამართად შეძენილ იქნა თანამედროვე ტიპის HD ენკოდერი და ქსელის კომუტატორი;
- შეძენილ იქნა უწყვეტი დენის წყარო, რომელიც დამონტაჟდა ტელევიზიის შენობაში, ყოფილი უწყვეტი დენის წყაროს ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაო რის შემდეგაც გადატანილ იქნა და დამონტაჟდა სტუდია N3-ში (ე.წ თითების სტუდია);
- შეძენილ იქნა როგორც მუშა სადგურები (სამონტაჟო კომპიუტერი), ასევე სამონტაჟო ლეპტოპები, რითაც გაუმჯობესდა სამონტაჟოების ხარისხი;
- MPG4 ზე გადასვლასთან დაკავშირებით შეძენილი იქნა რესივერები კომპლექტაციით;
- შეძენილ იქნა ვიდეო არქივის შემნახველი მყარი დისკების მასივი და სერვერი;
- შეძენილ იქნა ვიდეო აღწარმოების სერვერი HD 1080i, რომელიც დამონტაჟებულია ცენტრალურ სააპარატოში;
- განხორციელდა რადიოს შენობის (მ.აბაშიძის №57) გაგრილებისა და კონდიცირების სისტემის შესყიდვა-მონტაჟი;
- სტუდიის სატელევიზიო ამწესათვის შევიძინეთ საკონტროლო მონიტორი;

- სტუდიებისათვის ვიდეო სიგნალის შესამოწმებლად პროფესიონალური მონიტორები და სტუდიური კიბე;
- სისტემატურად ხორციელდებოდა ვიდეო კამერების, საკამერო განათების, სამკერდე და ხელის მიკროფონების ტექნიკური მონიტორინგი;
- ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები ვიდეო კამერებსა და არსებულ სხვა ტექნიკაზე, განხორციელდა დაზიანებული პირდაპირი ჩართვის აპარატის (LIVE)-ს რემონტი, შეკეთდა შემოქმედებითი გადაცემებისა და ახალი ამბების კამერები და განათების კომპლექტი;
- სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად განხორციელდა მაუწყებლის ადმინისტრაციული შენობის (მ.აბაშიძის №41) სახურავის კაპიტალური რემონტი და კეთილმოეწყო მაუწყებლის მესამე სართული;
- განხორციელდა მაუწყებლის ადმინისტრაციულ შენობაში (მ.აბაშიძის №41) სარემონტო სამუშაოები, კერძოდ:
  - მოეწყო საგრიმიორო ოთახი;
  - გაკეთდა გადამცემ საშუალებათა ექსპლუტაციის განყოფილების კაბინეტი;
  - განხორციელდა დიზელ-გენერატორის ოთახში რეკონსტრუქცია - საკუჭნაოსათვის მოეწყო ანტრესოლი;
  - გაკეთდა და კეთილმოეწყო საკონფერენციო დარბაზი;
  - მოეწყო სასაწყობე მეურნეობის ოთახი;
  - მეორე სართულის ფოიში და აივანზე შეიცვალა იატაკი, შეიღება კედლები;
  - კეთილმოეწყო აივანი (დაკომპლექტდა ღია აივნისათვის შესაბამისი ავეჯით).
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელდა მაუწყებლის ბალანსზე რიცხული, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა №17-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა;
- მაუწყებლის შენობის მესამე სართულზე განხორციელდა ელექტრო, საკაბელო და ტელეფონის ქსელის დემონტაჟი, მონტაჟი;
- განხორციელდა უსაფრთხოების სისტემის (SOPHOS) ლიცენზიის განახლება;
- განხორციელდა ქსელური სამუშაოები: ახალი მიერთებები, დაზიანებული წერტილების გამოვლენა და აღმოფხვრა, ქსელის გამანაწილებელი (switch) და უკაბელო ინტერნეტის (AP) მოწყობილობების გამართვა. ასევე, განხორციელდა კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, ანტივირუსული და სხვა პროგრამების ინსტალაცია, რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა, მონიტორინგი;

- განხორციელდა ახალი ვებ-გვერდის დასამზადებლად ტექნიკური პირობის შედგენის შესყიდვა, რომლის შემდეგ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და მიმდინარეობს ვებ-გვერდის დამზადება;
- ტექნიკური კვლევის, ანალიზისა და სამომომავლო ტექნიკური განვითარების მიზნით განხორციელდა მომსახურების შესყიდვა;
- განხორციელდა რადიო სტუდიის, გადაცემა „რადიოვიზია"-სა და გადაცემა „აკვარიუმი"-ს დეკორაციის შეცვლა, დამონტაჟდა განათებები;
- განხორციელდა სატელევიზიო სტუდიების განახლება (დეკორაციული სამუშაოები), შეიცვალა ინტერიერი და მოეწყო განათებები (სტუდია N1-ში შეიცვალა განათებისათვის ელექტრო კარადა;
- შევიძინეთ აუდიო და ვიდეო კაბელები თავისი კონექტორებით, რომელებიც გამოყენებული იქნა ცენტრალურ სააპარატოში კაბელებისა და კომუნიკაციის მოსაწესრიგებლად;
- განხორციელდა მოძრავ სატელევიზიო სადგურზე და სტუდიებში პროფილაქტიკური სამუშაოები. სტუდიის ცენტრალურ სააპარატოში ჩატარდა რეკონსტრუქცია (ტექნიკური გადაიარაღება);
- მედიაწარმოება და პროდიუსინგის (ტელევიზია, რადიო) მიმართულებით განხორციელდა შემდეგი შესყიდვები:
  - გარეწარმოების ნაწილში: საგამოძიებო დოკუმენტური ფილმები, ტელესპექტაკლები, რადიოს შემეცნებითი-გასართობი გადაცემები;
  - სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმები (ანიმაციური, დოკუმენტური, მხატვრული ფილმები და სერიალები);
  - სატელევიზიო ჩვენების უფლებით ლიცენზირებული ქართული მხატვრული ფილმები;
  - მხატვრული ფილმების (კლასიკა) გახმოვანება;
  - მუსიკალური ნაწარმოებების არაექსკლუზიური გამოყენების კატალოგი-ლიცენზია;
  - სარეკლამო ბანერის, ნაბეჭდი ფირების, მიკროფონის ღრუბლების, სატელევიზიო გადაცემებისათვის საჭირო მასალების, დეკორაციებისა და სხვადასხვა საქონელის შეძენა-ბრენდირება.
  - სოციალური ქსელში გასატარებელი სარეკლამო კამპანია;
  - პრომოუშენისათვის გრაფიკული ნამზადების შეძენა-გაფორმება.
- შეძენილ იქნა საკონტროლო ანალიზატორი, ციფრული საზომი კლეში და განახლდა ტელევიზიის, რადიოსა და გადამცემი სადგურებისათვის (ომბალაური, ხულო, შუახევი) ელექტრო კვებით უწყვეტად მომარაგებისათვის (UPS) აკუმულატორები და უწყვეტი დენის წყარო;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიამ 2018 წლის 23 აგვისტოს N499/13 დადგენილებით საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის

რადიოს მიანიჭა FM დიაპაზონში რადიომაუწყებლობისათვის სიხშირეები შემდეგ ქალაქებში და დასახლებულ პუნქტებში:

- თბილისი (სატელევიზო ანძა) 90,2;
- გორი (სატელევიზო ანძა) 94,1;
- ქუთაისი (სატელევიზო ანძა) 99,3;
- ზუგდიდი (სატელევიზო ანძა) 97,1;
- ხულო (სატელევიზო ანძა) 104,1;
- ქედა (სოფ. ზენდიდის ანძა) 106,1;
- ლაგოდეხი (სატელევიზო ანძა) 90,7;
- ფოთი (სატელევიზო ანძა) 90,7;
- ქობულეთი (სოფ. ლეღვას ანძა) 96,1.
- 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია რადიოგადამცემის შეძენა და აღნიშნულ ქალაქებში აჭარის რადიოს გადამცემების სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება;

➢ ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე (გადამცემი მაუწყებლობს FM 104,5 სიხშირეზე) ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (ორ კვირაში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). გარემონტდა გადამცემი სადგური და დენის უწყვეტი წყარო UPS, გამოიცვალა დიზელ გენერატორის ტყვიამჟავური აკუმულატორი. გამოიცვალა დაზიანებული ელ.გაყვანილობა სააპარატუროში და სადიზელეში. დამონტაჟდა ტალღაგამტარი კაბელი. დამონტაჟდა FM გამაძლიერებელი მოდულატორი;
➢ დამონტაჟდა აჭარის რადიოს ახალი გადამცემი სადგური (ს/ნ 3220) ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზენდიდში. რემონტი ჩაუტარდა გადამცემ ანტენებს, შეიცვალა დაზიანებული რესივერი, დამონტაჟდა ტალღაგამტარი კაბელი. გადამცემი მაუწყებლობს FM 106,1 სიხშირეზე;
➢ დამონტაჟდა აჭარის რადიოს ახალი გადამცემი სადგური (ს/ნ 3221) შუახევის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ სადგურზე. რემონტი ჩაუტარდა გადამცემ ანტენებს, შეიცვალა დაზიანებული სატელიტური თავაკი და რესივერი, დამონტაჟდა ტალღაგამტარი კაბელი. გადამცემი მაუწყებლობს FM 106,0 სიხშირეზე;
➢ აჭარის მუნიციპალიტეტებში მდებარე აჭარის რადიოს გადამცემ სადგურებზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). აღდგენილი იქნა დაზიანებული ელექტრო გადამცემი ხაზები, რემონტი ჩაუტარდა გადამცემ სადგურებს, გარემონტდა მიმღები და გადამცემი ანტენები, შეიცვალა სატელიტური თავაკი და რესივერი, დამონტაჟდა ტალღაგამტარი კაბელები;

- მაუწყებლის ბალანსზე რიცხულ ავტომობილებს ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, დაზღვეულ იქნა ავტოპარკის სრული შემადგენლობა, განხორციელდა სატრანსპორტო საშუალებათა GPS კონტროლის მომსახურების, პარკირებისა და რეცხვის ორგანიზაციული საკითხები;
- აუქციონის წესით გაიყიდა გამოუყენებელი (ამორტიზირებული) 3 ერთეული სატრანსპორტო საშუალება;
- საანგარიშო პერიოდში ოპერატულად და უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით შეძენილ იქნა მაღალი გამავლობის 2 ავტომობილი.

ბ) მაუწყებლის ფინანსური ეფექტიანობის სამსახურის მიერ დაიხვეწა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღრიცხვისა და ფინანსური ანალიზის სისტემა. გატარებული ღონისძიებების შედეგად მიღწეულ იქნა შემდეგი ძირითადი მიზნები:

→ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს დირექტორის 2017 წლის 13 ნოემბრის №02-03/27 ბრძანების თანახმად ჩატარდა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს ბალანსზე 2018 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით რიცხული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. აღნიშნული წესის მოთხოვნათა მიხედვით 2018 წლის ინვენტარიზაციას დაექვემდებარა: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს ბალანსზე რიცხული ყველა აქტივი, გარდა უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწა), საბიბლიოთეკო და ფონოთეკის ფონდებისა, კერძოდ, ინვენტარიზაციას დაექვემდებარა: სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, არაწარმოებული არამატერიალური, არაფინანსური და ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობები (საბუღალტრო სინთეზური ანგარიშები: 2121, 2122, 2122/1, 2130, 2132, 2133, 2220, 2410, 2430 და საცნობარო მუხლები 04, 05, 08 და 10). ყოველ მათგანზე, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით გაიცა საინვენტარიზაციო უწყისი. ცალკ-ცალკე უწყისში შევიდა ნარჩენი ღირებულების მქონე ამორტიზებული ფასეულობებიც. კომისიის მიერ შემოწმებულ იქნა ბალანსზე რიცხული ქონების მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე გაწერის სისწორე. კერძოდ: მაუწყებლის დირექტორის 2014 წლის 3 იანვრის №01-03/03; 2015 წლის 30 ნოემბრის №02-03/29; 2017 წლის 08 დეკემბრის №02-03/32 და 2018 წლის 15 მარტის №02-03/09 ბრძანებებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს სარგებლობაში არსებული ქონება განპიროვნებულია მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე. ფინანსური ეფექტიანობის სამსახურში, დადგენილი წესით, შევსებულია საინვენტარიზაციო

ბარათები (ელექტრონული ვერსია-ბუღალტრული პროგრამის შესაბამისად, ფორმა №ძს-6. დანართი №1). აქტივების გადაცემა, ერთი მატერიალურად პასუხისმგებელი პირიდან მეორეზე, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით. ინვენტარიზაციის ჩატარების მოქმედი წესის თანახმად, ადგილზე, კომისიის მიერ მატერიალურად პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით, ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად შედგა 88 (შედარების) უწყისი (ფორმა№ინვ-1) და დადგინდა შემდეგი:

- ფაქტობრივ და ბუღალტრულ მონაცემებს შორის სხვაობა, (მეტობა ან ნაკლებობა) არ დაფიქსირებულა და შესაბამისად აისახა შედეგების აქტით-ფორმა №ინვ-2. რაც შეეხება ინვენტარიზაციის პერიოდში დაკარგულ „უკაბელო (საკამერო) სამკერდე მიკროფონის კომპლექტიდან (Sennheiser EW 112 G3)“, ს/№ 3015 ე.წ. პეტლიჩკას გადამცემით - (2018 წლის 16 ნოემბრის №02-26/2839 და №02-26/2840 ფირუზ ბოლქვაძისა და სულიკო დოლიძის მოხსენებითი ბარათები), შედგა დანაკარგის ჩანაცვლებაზე შეთანხმების აქტი (2018 წ.-ის 16 ნოემბერი, №02-32/590/1), ვადით 2019 წლის თებერვლის ბოლომდე. ხოლო, 2017 წლის ინვენტარიზაციით დაფიქსირებული სატრანსპორტო საშუალება, „ოპელ ასტრა“, სარეგისტრაციო ნომრით TUT 298, ს/№ 2176, რომელიც დაზიანდა 2014 წლის 17 სექტემბერს მომხდარი ავტო-საგზაო შემთხვევის დროს და მიყენებული ზარალის ანაზღაურება დაეკისრათ ზარალის მიყენებაში დამნაშავე პირებს: კორნელი პატარაიასა და გოჩა კახიძეს, თითოეულს 1018 ლარის ოდენობით. ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდისათვის, აღნიშნული ზარალი დაფარულია.
- ინვენტარიზაციის შედეგად სულ აღწერილია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" -ს ბალანსზე, 2018 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით, რიცხული 2951 ერთეული 5 036 161,91 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების არაფინანსური და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები, მათ შორის:

ა) „ძირითადი ფონდები“ (ანგარიში-2120), 3 414 056,10 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულება, აქედან:

- „სატრანსპორტო საშუალებები“ (ანგარიში-2121), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 327 074,90 ლარი;
- „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ (ანგარიში-2122), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 3 086 981,20 ლარი;

ბ) „სხვა ძირითადი აქტივები“ (ანგარიში-2130), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 719 488,73 ლარი;

გ) „სხვა ძირითადი საშუალებები“ არაწარმოებული ძირითადი აქტივები (ანგარიში-2132), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 52 620,86 ლარი;

დ) „ფილმები და პროგრამული გადაცემები“ (ანგარიში-2133), ნარჩენი საბალანსო ღირებულება 496 651,83 ლარი;

ე) დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი (ანგარიში-2140), ნარჩენი საბალანსო ღირებულება 32 616,10 ლარი;

ვ) „სხვა ბუნებრივი აქტივები“ (ანგარიში-2430), ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 11 319,96 ლარი;

ზ) გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (ანგარიში-2200) ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 15 876,45ლარი.

თ) ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (10 ანგარიში), ღირებულებით 258 389,31 ლარი;

ი) ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში (04 ანგარიში), 330 ცალი 35 142,57 ლარის ღირებულების მცირეფასიანი საგნები და ინვენტარი.

- ასევე ინვენტარიზაციის შედეგად აღწერილია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" -ს ბალანსის საცნობარო მუხლებში 2018 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით რიცხული:

  1) ,,პირობითი მოთხოვნები“ (05 ანგარიში) - 5 385,52 ლარი, რომელიც წარმოიშვა 2016 წლის 19 აგვისტოს კურორტ „ბახმაროში“ შემოქმედებითი ჯგუფის მიერ სადღესასწაულო დოღის გადაღებისას დაზიანებული ვიდეოკამერის თაობაზე დაწყებულია გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის მიერ. ამ პერიოდისათვის გამოძიება არ დასრულებულა და შესაბამისად ზიანის მიმყენებელი მხარე არ გარკვეულა.

  2) ამორტიზებული ძირითადი აქტივები (08 ანგარიში) - 67 807,11 ლარი.

- ინვენტარიზაციის ჩატარება დაემთხვა ტელევიზიის, ბათუმი, მ. აბაშიძის №41-ში არსებული ცენტრალური შენობის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციის სამუშაოს შესრულებას-სახურავის გადახურვას. სამუშაოს ასრულებდა სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო. რის გამოც აუცილებელი გახდა შენობის III სართულის დაცლა ავეჯისა და ტექნიკისაგან. ამავდროულად მოხდა იქ არსებული სამუშაო ოთახების დემონტაჟი. შესაბამისი სათადარიგო ფართის უქონლობის გამო, ხდებოდა აქტივების, ავეჯისა და ინვენტარის, განთავსების ადგილის ხშირი მონაცვლეობა და გადაადგილება, (ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა-ტრანსპორტირება), რის გამოც გაართულდა ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესი და აქტივების დაზიანება/მწყობრიდან გამოსვლა. განსაკუთრებით ეს შეეხო ძირითადად: სკამებს, მაგიდებსა და ტელევიზორებს. ამავე მიზეზის გამო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა ფონდების ოთახი (ოთახი №18), რომელშიც გადატანილი იყო არქივი და ზოგიერთი ოთახიდან ავეჯი,

ამას დაერთო ისიც, რომ რემონტის დროს, მესამე სართულის (სხვენის), იატაკი (№18 ოთახის ჭერი), ნაწილობრივ ჩამოიშალა და საამშენებლო ნარჩენები (ნაგავი) დაეყარა მასში განლაგებულ დოკუმენტებსა და ნივთებს. აღნიშნულ ოთახში მდგომარეობა, ინვენტარიზაციის დასრულებისთვის არ შეცვლილა. კომისიას მიაჩნია, რომ ამ მდგომარეობით ზიანი ადგება, როგორც საფონდო მასალებს, ასევე საარქივო-ბუღალტრულ, იურიდიულ, კადრებისა და სხვა ხასიათის არქივში ჩაბარებულ დოკუმენტებს;

- 2017 წლის ინვენტარიზაციის აქტით აღინიშნა უწყებაში სასაწყობე მეურნეობის მოუწყობლობის - სასაწყობე ფართის უქონლობის თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხარვეზი 2018 წელს გამოსწორებულ იქნა, კერძოდ: მაუწყებლის შენობის შიგნით გამოიყო და სათანადოდ კეთილმოეწყო სასაწყობე ფართი, სასაწყობე მეურნეობის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი პირობების (გისოსები, რკინის თაროები, დაფარული ელექტრო გაყვანილობა და ა.შ) დაცვით.

- მწყობრიდან გამოსულია და ექვემდებარება შემდგომ ჩამოწერას:

  ა) ძირითადი საშუალება, - „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“, 124 486,97 ლარის ნარჩენი ღირებულების მქონე 43 ერთეული. აღნიშნულ სიაში განმეორებით შევიდა 2017 წლის ინვენტარიზაციით განსაზღვრული ჩამოსაწერი აქტივები-14 ერთეული 8 601,27 ლარის ნარჩენი ღირებულებით და ასევე აუქციონზე გასატანი 4 ერთეული 71 379,39 ლარის ნარჩენი ღირებულებით, რომლებზეც გაკეთდა აუდიტორული კომპანია „კომპაუდი“-ს, 2018 წლის 28 სექტემბრის №556-ქ დასკვნა, მაგრამ ამ პროცესის დასრულება, ვერ მოხერხდა მაუწყებლობისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

  ბ) ჩამოწერას დაექვემდებარება ასევე ფილმები, 57 757,62 ლარის ღირებულების, რომელთა ჩვენების ვადა 2018 წლის ბოლოს ამოიწურა;

  გ) ჩამოსაწერში მოინიშნა აგრეთვე 65 ერთეული ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები 8 021,19 ლარის ღირებულებით და 43 ერთეული მცირეფასიანი საგნები და ინვენტარი 3 740,27 ლარის ღირებულებით.

- ჩამოსაწერი ქონების განსაზღვრა მოხდა, მასზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ ჩამოწერის მიზეზის, ქმედითუნარიანობის წარდგინებით და კომისიის წევრთა მიერ მისი ვიზუალური დათვალიერებით. რაც შეეხება მათი შემდგომი ჩამოწერის საკითხს, მოწვეული სპეციალისტის ან აუდიტორის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, კომისიური წესით მოხდება ჩამოწერა-განადგურება.

- კომისიამ ჩაატარა ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია და აღნიშნავს შემდეგს:

1) 2018 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით გაუცემელი ან ზედმეტად გაცემული ხელფასისა და საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

2) დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებების ინვენტარიზაცია ჩატარდა დაფინანსების წყაროს მიხედვით, შედგა დებიტორ-კრედიტორებთან ანგარიშსწორების აქტი, რომლის მიხედვით დადგინდა შემდეგი:

- საბიუჯეტო სახსრებში, როგორც დებიტორული, ასევე კრედიტორული დავალიანებები წარმომავლობის ხასიათის მიხედვით, არის მოკლევადიანი (მიმდინარე) და მათი წარმოშობა დაკავშირებულია ანგარიშსწორების დოკუმენტების წარმოდგენის ვადებთან;

- არასაბიუჯეტო სახსრებში, როგორც დებიტორული, ასევე კრედიტორული დავალიანებები წარმომავლობის ხასიათის მიხედვით, ძირითადად არის მოკლევადიანი (მიმდინარე) და მათი წარმოშობა დაკავშირებულია ანგარიშსწორების დოკუმენტების წარმოდგენის ვადებთან, ხოლო რაც შეეხება გრძელვადიან დებიტორულ დავალიანებებს, ორ შემთხვევაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარდგენილია სარჩელი, მოპასუხე შპს „ბურჯი ინვესტი“-სა (4425,71 ლარი) და შპს „გრინ ლაით სტუდიო“-ს (5157,14 ლარი) მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე. 2018 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „ბურჯი ინვესტი“-ს მიმართ დაკმაყოფილდა სარჩელი გადასახდელი თანხისა და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,1%-ის დაკისრების თაობაზე, ხოლო შპს „გრინ ლაით სტუდიო“-ს მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავა.

➢ 2018 წლის ინვენტარიზაცია არ მოიცავდა უძრავი ქონების (არასაცხოვრებელი შენობები, შენობა-ნაგებობები_გადამცემი სადგურები და უძრავ ქონებაზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთი) ინვენტარიზაციას. მიუხედავად ამისა კომისია გაეცნო ბუღალტრულ მონაცემებს 2018 წლის 01 ნოემბერის მდგომარეობით ბალანსზე რიცხული „არასაცხოვრებელი შენობები“-სა და მასზედ მიმაგრებული არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ღირებულებების განსაზღვრას კერძოდ, უძრავი ქონება მდებარე, ქ. ბათუმი, მ.აბაშიძის №41 და ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის №57, მაუწყებელს გადმოეცა საბალანსო ღირებულებების გარეშე, რაზედაც სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელდა ფასების განსაზღვრა. ამ უკანასკნელმა ფასები დაადგინა უძრავ ქონებაზე ჯამურად, ანუ მასზედ მიმაგრებული არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ჩათვლით. რის გამოც მიმდინარე წლის ბოლოს ცვეთის დარიცხვას აუცილებელი გახდა ფასის გამიჯნვა და ცვეთის კორექტირება ნაზარდი ჯამით.

→ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ 35[12] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად (საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ფინანსდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან, ამ ბიუჯეტის არანაკლებ 15%-ით) სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სავარაუდო საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში (მშპ შესაბამისად) მომზადდა 2019 წლის შემოსულობებისა და გადასახდელების დამტკიცების შესახებ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი (ბიუჯეტში მუხლობრივად გაიწერა ტელევიზიის, რადიოსა და ინტერნეტ მაუწყებლობის ხარჯები), მაუწყებლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნებისა და წინადადებების შეჯერების საფუძველზე. მაუწყებლის მრჩეველთა საბჭოს მიერ 2018 წლის 27 ნოემბრის N01-01/23 (ოქმი N16) გადაწყვეტილებით შეთანხმებულ იქნა და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 2018 წლის 25 დეკემბრის N442 (ოქმი N396) გადაწყვეტილებით დამტკიცდა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს 2019 წლის ბიუჯეტი.

## მიღწეული შუალედური/საბოლოო შედეგების ინდიკატორები

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოსთან შეთანხმებითა და სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიომ დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყო საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობის განაწილება და მიზნობრივი ხარჯვა, სატელევიზიო და რადიო აპარატურის სწორი ექსპლუატაცია და გეგმაზომიერი განახლება/შეძენა და შეკეთება, სატელევიზიო და რადიო სტუდიების მოწყობა. თავისი კომპეტენციისა და დაფინანსების ფარგლებში განახორციელა მაუწყებლის საქმიანობისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა.

ჯემალ გვეტაძე
დირექტორის მოადგილე
ტექნიკური განვითარების დარგში

რაულ ბერიძე
ფინანსური ეფექტიანობის
სამსახური უფროსი

მამუკა გუნდაძე
იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი